საქართველოს სპორტის ტრადიციული
სახეობებისა და თამაშების
ასოციაცია

ქართული საბრძოლო ხელოვნება

კრიობა

პირველი რედაქცია

საქართველოს სპორტის ტრადიციული
სახეობებისა და თამაშების
ასოციაცია

ქართული
საბრძოლო ხელოვნება

კრიობა

ისტორიული
წყაროები და ზოგადი
აღწერილობა

პირველი რედაქცია

თბილისი 2023 წ.

ავტორისგან

სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725 წწ.) „ლექსიკონი ქართული“: - მუჭი ეწოდების, რა ჯელთა თითნი შეიკუმშო (შეიკუმშნე ჩქ) მაგრიად, ხოლო უკეთუ კაცსა სცე მუჭითა ცერის კერძო, ეწოდების მუშტი და არღარა მუჭი; უკეთუ ნეკის(ა) მჯარე და(ჰ)კრა, ეწოდების მძიღი; უკეთუ ცერი თითებთა ქვეშე დაამწყვდივნე და ეგრე მომუჭვილნი შემო(ჰ)კრნე, ეწოდების ბლიკვი; უკეთუ თითებისაკენ წა(ჰ)კრა, ეწოდების ქიშტი, რომელ არს ქურჯვა; ხოლო უკეთუ იდაყვითა უკუღმართ უკუნჰკრა, მუჯლუგანი არს სახელი მისი.

ავტორი:	ლევან კიკალიშვილი,
ექსპერტ-კონსულტანტი:	ნოდარ ლურსმანაშვილი
სამეცნიერო რედაქტორი:	კობა ჭუმბურიძე
ილეთების შესრულება:	ზვიად ვარდუკაძე, ედიშერ გოგია, ანდრია გიორგაძე და ლუკა მოსიაშვილი
ფოტო-გადაღება:	მარიტა ბიბლაია და ირაკლი ქოქოსაძე
მხატვარ-დიაზინერი:	ლევან კიკალიშვილი
დაკაბადონება:	მამუკა ხანთაძე

გამოცემა მომზადდა კახაბერ ზარნაძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ

გამოიცა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

ISBN 978-9941-8-6098-0

შინაარსი

1. ისტორიული წყაროები ---------- 4 გვ.

2. ქართული კრივის ისტორიული წყაროები --------- 8 გვ.

2. არეული კრივი ---------- 15 გვ.

3. ქართული კრივის სიტყვის კონა ---------- 20 გვ.

4. მსაჯობა-დგინება ---------- 25 გვ.

5. თვალსაჩინოება ---------- 26 გვ.

6. არეული კრივის აღდგენილი ილეთები ---------- 37 გვ.

ისტორიული წყაროები

კრივის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული გამოსახულება გვხვდება ანტიკურ ხანაში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ან II ათასწლეულის დასაწყისის მესოპოტამიურ თიხის ფირფიტებზე, რომლებიც დაცულია ბაღდადის მუზეუმში. მათზე რელიეფურად არის გამოსახული ჭიდაობა და ორთაბრძოლა მუშტებით. ეშნუნში (ახლანდელი თელ-ასრამი, ერაყი) გათხრებისას აღმოჩენილ ერთ ფირფიტაზე (სურ. 1) აღბეჭდილია ერთმანეთის პირისპირ მდგარი ორი მოკრივე, მოხრილი მკლავებითა და შეკრული მუშტებით, არცერთ მათგანს არ აქვს ხელთათმანები.

სურათი 1

სურათი 2

ხაფაჯში, ნინტუს ტაძარის გათხრებისას ნაპოვნ მეორე ფირფიტაზე (სურ.2) რელიეფურად გამოსახულია მოჭიდავეები და მოკრივეები. ნაკეთობა მიეკუთვნება ძვ.წ. 3000–2340 წწ. ადრეული დინასტიის პერიოდს.

კიდევ ერთი ტერაკოტის ფირფიტაა (სურ.3) ნაპოვნი ერაყში (თელ ალ-სენკერეჰ), რომელიც თარიღდება დაახლოებით 1200 ჩვ.წ.ა., და ასახავს ორ მამაკაცს, რომელთაც ახურავთ ქუდები, მაგრამ არცერთს არ აცვია კრივის ხელთათმანი.

ეგვიპტეში, თებეს რელიეფზე, რომელიც თარიღდება ძვ.წ. 1350 წ., გამოსახულია მამაკაცის სამი წყვილი, რომლებიც კრიობენ (სურ. 4). როგორც რელიეფიდან ჩამს, ეს მოკრივეებიც შიშველი მუშტებით იბრძოდნენ. მოკრივეების გვერდით რელიეფზე იეროგლიფები ითარგმნა, როგორც - "დაარტყი, დაარტყი!" და "შენ არ გყავს ტოლი", რაც ადასტურებს იმას, რომ ეს კაცები მართლაც მოკრივეები არიან.

სურათი 4

მინოსური ცივილიზაცია იყო ალბათ პირველი (ჯერ-ჯერობით არ არსებობს სხვა წყარო, რომელიც ამას უარყოფს) რომელმაც კრივის ხელთათმანი გამოიყენა. წმიდა ტრიადის საკათედრო ტაძრიდან სასმელი ჭურჭლის რელიეფზე, რომელიც დაახლოებით ზვ.წ.ა. 1500 წ. თარიღდება, გამოსახულია საბრძოლო თუ საზეიმო მოქმედების რამდენიმე სცენა (სურ. 5).

სურ. 5

სურ. 6

სურ. 7

მინოსური კრივის ყველაზე ცნობილი მტკიცებულება არის ფრესკა კუნძულ ტერადან (დღევანდელი სანტორინი) აკროტირში, რომელიც

თარიღდება დაახლოებით 1600 ძვ.წ.ა., სადაც გამოსახულია "მოკრივე ბიჭები" (სურ. 6). საინტერესოა, რომ ორივეს მხოლოდ მარჯვენა ხელზე აქვს ხელთათმანი, მაგრამ ხელთათმანის გამოსახულების ხარისხი რეკონსტრუქციის შესაძლებლობას არ იძლევა.

ასევე საინტერესოა მიკენური ამფორის ფრაგმენტი, რომელიც თარიღდება დაახლოებით 1300 ძვ.წ.ა., სადაც გამოსახულია მუშტით მოპაექრე წყვილი (სურ. 7).

ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებული კრივისა და პანკრატიონის (პანკრატიონში ფეხით დარტყმებსა და ჭიდაობის ილეთებსაც იყენებდნენ, დღევანდელი შერეული ორთაბრძოლების, ჩვენებურად კი „არეული კრივის“ მსგავსად) შესახებ შედარებით სრულყოფილი ინფორმაცია მოგვეპოვება. ძველმა ბერძნებმა დაგვიტოვეს მრავალი წარწერა, ლიტერატურული ცნობა და უამრავი ქანდაკება და მოხატული ამფორა, რამაც საშუალება მოგვცა უკეთ გაგვეგო, თუ როგორ ტარდებოდა შერკინებები უძველესი ორთაბრძოლის სხვადასხვა სახეობებში და მათ შორის კრივში.

იმდროინდელი კრივის არსი კარგად ჩანს ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნის წარწერაში: "მოკრივის გამარჯვება სისხლით მოიპოვება".

სურ. 8

სურ. 9

ამ ამფორის მოხატულობაზე კი, რომელიც თარიღდება 520-510 წ.წ. ჩვ.წ.ა. კარგად ჩანს ბერძენი მოკრივეები ორივე მუშტსა და მაჯაზე შემოხვეული თასმებით, ერთს ცხვირიდან სისხლი სდის (სურათი N8). სურათზე N9, ასევე ამფორის მოხატულობაზე (დაახლოებით მე-5

სკ. ჩვ.წ.ა.) კარგად ჩანს, რომ მებრძოლი შერკინებისას მუშტთან ერთად ფეხსაც ხმარობს.

მჯდომარე მოკრივის ბრინჯაოს ქანდაკება („Terme Boxer“), ძვ.წ. II ან I საუკუნე., დაცულია რომის ეროვნული მუზეუმში (სურ. 10 და 11).

სურ. 10 სურ. 11

ამ ქანდაკების ხელებზე ტყავის თათმანები ძალიან წააგავს საქართველოში, ვანის გათხრების შედეგად მოპოვებულ ნიმუშებს, მათ შორის ნაპოვნ მოკრივის ქანდაკების ხელის ფრაგმენტს, რომელიც ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება, რაც მოწმობს, რომ მსგავსი ასპარეზობა ანტიკური ხანის საქართველოშიც იმართებოდა.

დასტურად მოვიშველიებთ სტრიქონებს ჩვ.წ.აღ. III საუკუნის პოეტის აპოლონიუს როდოსელის პოემიდან არგონავტიკა - „არესის ველი ქალაქის (კუტაიას) პირისპირ მდებარეობდა და მდინარის ნაპირს ოდნავ იყო მოშორებული. არესის ველზე ვრცელი ასპარეზი იყო გადაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა. კოლხები აქ გმირების მოსაგონებლად რბენას და მხედრულ შეჯიბრებს აწყობდნენ ხოლმე“.

***

ქართული კრივის ისტორიული წყაროები

„ლაშარის ჯვარი ჯავრობდა, იმუქრებოდა მჯიღითა“

ხალხური

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული კრივის უძველესი წარმოშობა არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება, კერძოდ - ვანის ნაქალაქევში ნაპოვნია ძვ. წ. III სკ-ის ქანდაკების ფრაგმენტი – მოკრივის მარჯვენა ხელი ტყავის უთითო ხელთათმანით და მაჯაზე დახვეული თასმით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ უძველესი ხანიდან აქ მოსახლე ტომებს და სახელმწიფოებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მეზობლად მცხოვრებ, თუ მომთაბარე ხალხებთან, მათ შორის შუმერებთან, ხეთებთან, ასირიელებთან, ფინიკიელებთან, ურარტუელებთან, ეგვიპტელებთან, შუამდინარეთის, წინა-აზიასა და ევროპაში მოსახლე ერებთან, მათ შორის ბერძნებთან, რომელთა კოლონიებიც ანტიკურ ხანაში არსებობდნენ შავიზღვისპირეთში, ეს ურთიერთობები რასაკვირველია აისახებოდა მათ ყოფა-ცხოვრებაზე, მათ შორის სამხედრო და საბრძოლო მომზადების მიმართულებით.

ამის მრავალი მაგალითია დაცული საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიულ, თუ ხელოვნების მუზეუმებში, ისტორიულ წერილობით წყაროებში, ასირიელ, ბერძენ, რომაელ, ქართველ და სხვა ეროვნების ჟამთა-აღმწერლებთან, ქართველ მეფეების თხზულებებში, ქართველი და უცხოელი სამხედრო პირების მოგონებებში, 19 საუკუნიდან დაწყებული ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, არქეოლოგების, მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებში.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან კრივი იმთავითვე უმნიშვნელოვანესი სამხედრო დისციპლინა იყო. შემდგომშიც მრავალი ისტორიული და ლიტერატურული წყარო ეხება კრივის თემას, ხოლო სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725 წწ. გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი,

პოეტი, მწერალი და დიპლომატი) ქართულ განმარტებით ლექსიკონი ფრიად უნიკალურ ინფორმაციას გვაწვდის ამ კუთხით, მაგალითად:

„მუჭი - ეწოდების რა ჭელთა თითნი შეიკუმშო მაგრიად და უკეთუ კაცსა სცე ცერის კერძო მუჭითა, ეწოდების მუშტი: უკეთუ ნეკის მჭარე დაჰკრა, ეწოდების მჯიღი; უკეთუ ცერი თითებთა ქვეშე დააპყრა, ეგრე სცე, ეწოდების ბლიკვი; უკეთუ თითებთა გოჯთა კერძო წაჰკრა, ეწოდების ქისტი, რომელ არს ქურჯვა; უკეთუ იდაყვით უკუღმა ჰკრა, მუჯლუგანი ეწოდება. მუჭი ეწოდების, რა ჭელთა თითნი შეიკუმშო მაგრიად, ხოლო უკეთუ კაცსა სცე მუჭითა ცერის კერძო, ეწოდების მუშტი და არღარა მუჭი; უკეთუ ნეკის(ა) მჭარე და(ჰ)კრა, ეწოდების მძიღი; უკეთუ ცერი თითებთა ქვეშე დაამწყვდივნე და ეგრე მომუჭვილნი შემო(ჰ)კრნე, ეწოდების ბლიკვი; უკეთუ თითებისაკენ წა(ჰ)კრა, ეწოდების ქიშტი, რომელ არს ქურჯვა; ხოლო უკეთუ იდაყვითა უკუღმართ უკუჰკრა, მუჯლუგანი არს სახელი მისი“.

საინტერესოა თვით ამ ტერმინის წარმომავლობაც. სავარაუდოა, რომ დასახელება ნაწარმოებია კვრა-კრვა ზმნიდან. კრიობა ამ შემთხვევაში კვრათა ერთობლიობას ნიშნავს, კვრა კი ძველად დარტყმის მნიშვნელობით იხმარებოდა.

კრივის პოპულარობაზე ჩვენში მეტყველებს მის სახეობათა მრავალფეროვნება: კოლხური და მესხური თათმანიანი, თუშური „მუშტა'ობა“, ხევსურული სათითეებიანი, წყალში ჯგუფური მუშტი-კრივი, რაჭული და მოხევური წიხლაობა, სვანური „ლაღამის კრივი“, „ლივიშდიელ“ (წიხლაობა) და „ლიჯგუბილ“ (ხელით), „სალდასტი კრივი“, „არეული კრივი“, ქალაქური „მუშტი-კრივი“, „ხრიდოლი კრივი“.

მემატიანემ საინტერესო ცნობა შემოგვინახა საბრძოლო შერკინებაში კრივის გამოყენების შესახებ. მარაბდის ბრძოლაში „ბატონმა თეიმურაზ დაამტვრია ყოველი საბრძოლო იარაღი და აღარა შემორჩენოდა რა, ბეჭდებიცა დაემტვრია მუშტის ძგერებით“.

შემონახულია XIX სკ-ის ქართველი ისტორიკოს-ეთნოგრაფის ივ. გვარამაძის ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენში იმართებოდა ოლიმპიურ

თამაშობათა მსგავსი რამ, რომლის სახეობათაგანი იყო „მჯიღით ბრძოლა“.

მისივე ცნობით მესხეთში, სათალასა და მუსხის მინდვრებში, გამართული იყო სარბიელი, სადაც სამი წლის განმავლობაში წარმოებდა დგინება. აქ შერჩეული „თავ-გმირები“ მეოთხე წელს ვანის მთისკენ, ცხრაწყაროს დაიყრიდნენ თავს საქვეყნო შეჯიბრებაში თავის გამოსაჩენად. ასევე სამ წელს მიმდინარეობდა დგინება სოფელ ერკოტაშიც და მეოთხე წელს აქ შერჩეულნიც ცხრაწყაროს მიაშურებდნენ. შეჯიბრი თითბრით მოჭედილ ტყავის თათმანიან კრივშიაც (!) ტარდებოდა.

კრივში ჯგუფური შერკინება განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა ქუთაისში. აქაურები წინასწარი დათქმით გადიოდნენ „თეთრი ქვების“ მიდამოებში და გახურებულ თაფთაფანაში პირდაპირ „თავით ეშვებოდნენ“, რადგან უნიკალური „თაურები“ ერთ-ერთი მშვენებაა ქუთაისური კრივისა.

მკვლევარ ვ. სიდამონიძის ცნობით გუნდურ კრივში, რომელიც ჩვენში უფრო გავრცელებული იყო, „მონაწილეობდა ხუთიათასამდე კაცი, თუ მეტი არა“.

რუს ხელისუფალთა მიერ კრივის აკრძალვამდე, თბილისში, დაახლოებით 1802-06 წლებში, მთავარმართებელ პავლე ციციშვილის თაოსნობით გამართულა დიდი შერკინება კრივში (ხის ხმლებისა და შურდულების გამოყენებით). ამ შერკინების ხატოვანი აღწერა შემოგვინახა მისი თვითმხილველისა და მონაწილის დავით ბებუთაშვილის მოგონებამ. ამ წყაროს თანახმად ყეენობა ყველიერის ორშაბათს დილაადრიან იწყებოდა. სიონის ტაძართან ორ ნაწილად იყოფოდა ქალაქი – ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეებად. ასევე საყურადღებოა, რომ კრივი, ანუ შეიარაღებული ორთაბრძოლა, „ყეენობის“ ფინალი იყო, მანამდე კი მხარეები ჩვეულებრივი საბრძოლო სცენარის მიხედვით მოქმედებდნენ: მიმდინარეობდა დაზვერვა, მდგომარეობის შეფასება და მოქმედების დაგეგმვა, მოსყიდვა-გადაბირება, ცრუ ინფორმაციის შესაღება, მოლაპარაკებები და მისთანანი.

შემონახულია აგრეთვე ფრიად საინტერესო მოგონება თელავში, XIX სკ-ის 80-იან წლებში გამართული გუნდური კრივობის შესახებ (ეს მონათხრობი, ვ. სიდამონიძის აზრით, იმდროინდელ ჟურნალისტს ალექსანდრე დოდაშვილს უნდა ეკუთვნოდეს):

„პატარა ქალაქ თელავში ჩვენს დრომდის იმართებოდა კრივები ზამთრობით. კრივები იწყება ნოემბერში და თავდება იმ დროს, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში „ყეინობას“ უწოდებენ.

კრივის დროს მთელი თელავი ორ ბანაკად იყოფა: ერთს მხარეს შეადგენს თელაველები, მეორეს ძველი გალავნელები, რომლებიც რიცხვით ექვსჯერ მაინც მომეტებულნი არიან თელაველებზედ; მაგრამ თელაველების სიმამაცე, ხელოვნება, ერთობა და მუშაობისაგან შეძენილი ძალ-ღონე უფრო ხშირად სძლევენ ხოლმე ძველგალავნელთ. ყოველთვის თელაველნი რჩებიან ხოლმე გამარჯვებულნი, თუ თვითონ მოკრივეს სამი მოწინააღმდეგის მეტი არ ებრძვის, ე.ი. თუ ოც თელაველზე სამოცი ძველი გალავნელი მეტი მაინც არ არის.

ეგრეთი ცოტასაგან გამარჯვება ბევრზედ, მამაგონებს პატარა საქართველოსა, რომელიც ხშირად სძლევდა, ამარცხებდა და ჟლეტდა თავის მრავალრიცხოვან და უთვალავს მტრებსა. სპარსთა, ოსმალთა, თათართა და სხვათა“.

კრივი აქაც ნაცნობი სცენარით ვითარდება: ჯერ პატარა ბიჭებს დააჯახებენ ერთმანეთს. მათ თავს დასტრიალებს შედარებით მოზრდილი წყვილი - „მოთამაშენი“. შემდეგ თავად ეს წყვილი იწყებს კრივს, შემდეგ მათი „მოთამაშენი“ და ასე, ვიდრე ხალხი საკმაოდ არ შეიკრიბება.

ამის შემდეგ ხმაური მცირე ხნით ნელდება. ამ დროს მოკრივენი მოწინააღმდეგის ბანაკს ზვერავენ და მდგომარეობას აფასებენ. დაზვერვა ხშირად რამდენიმე საათს გრძელდება.

ძირითადი შეტაკება დაბინდებისას იწყება – ორ ბანაკად გაყოფილი მოკრივენი ჩოხაგახდილნი ელიან ნიშანს. თავ მოკრივეებს კი ჯერაც არ გაუხდიათ.

კიდევ ერთი ნაწყვეტი ა. დოდაშვილის მოგონებიდან: „საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ მოკრივენი დიდ მოხერხებასა და გამჭრიახობას იჩენდნენ კრივში. თუ მხარეს მოხერხებული ადგილი უკავია, მოწინააღმდეგე თუნდაც სუსტი იყოს, მაინც არ დაეცემიან და ცდილობენ მოატყუონ იგინი სამი-ოთხი კაცის ჩაგზავნით კრივში.

გარდა ამისა, მრავალგვარ ხერხს ხმარობენ კრივში, ასე რომ შეიძლება დიდი ღონის მქონე კაცი სულ პატარა და უღონოსაგან იცემოს და დამარცხდეს.

კრივი ბევრ თელაველს პურივით მოშივდება ხოლმე და კრივის დროს ზოგიერთი მოხუცებული პატიოსანი კაცები ათრთოლდებიან და აკანკალდებიან ხოლმე კრივის დანახვაზე“.

თბილისში კრივის სახეობების და მოკრივეების შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის იოსებ გრიშაშვილი ნაწარმოებში „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (31-37 გვ.), სადაც სხვადასხვა წერილობით წყაროებსა და უშუალო მონაწილეების ჩანაწერებზე დაყრდნობით გადმოცემულია დაწვრილებითი აღწერილობა XIX საუკუნის სხვადასხვა წლებში დედაქალაქში გამართული მუშტი-კრივისა და სალდასტი კრივის შესახებ.

ამავე ნაწარმოებშია მოხსებული ქალაქური კრივის ნაირსახეობა ყარაჩოღელთა (შავჩოხიანთა) კრივი, რომელშიც დარტყმები რიგრიგობით კეთდებოდა, აფარებისა და უკუილეთის გარეშე. ეს უთუოდ მიანიშნებს მოკრივეთა ამტანობის, დარტყმის მიღებისას მორბილებისა და ძალის ჩაქრობის ცოდნაზე, რაც ამ სახეობის შემდგომი კვლევის აუცილებლობას გვკარნახობს.

მუშტი-კრივი თბილისს მე-19-ე საუკუნის ბოლომდე შემორჩა, როგორც ქალაქელთა ერთ-ერთი უსაყვარლესი გასართობი და თუ უწინ მხოლოდ ყველიერის კვირაში იმართებოდა, თანდათან

დამაგვირგვინებლად იქცა ყველა დღესასწაულზე, სადაც ხალხი მრავლად იკრიბებოდა და ყველას შეეძლო გამოეცადა თავისი უნარი. კრივს უამრავი მაყურებელი ჰყავდა. კრივობდნენ უქუდოდ, გულგაღეღილნი, ჩოხის კალთა აკრეფილნი, ახალუხისამარანი. მსაჯი ცხენზე მჯდომი უძღვებოდა შერკინებას. მოკრივენი რამდენიმე რიგად იდგნენ ასაკისა და სიძლიერის მიხედვით. ი. გრიშაშვილის აღწერით კრივობას მცირეწლოვნები იწყებდნენ, შემდეგ ყმაწვილები ჩაერთვებოდნენ, ბოლოს კი ცოლშვილიანი მამაკაცები ცდიდნენ თავიანთ ოსტატობას.

ხშირად ქომაგებიც ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ. ამ დროს ხის ხმლებსაც იყენებდნენ ხოლმე. ხანაც საქმეში ერეოდა ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდებოდათ.

კრივის შემდეგ მონაწილენი აბანოში მიდიოდნენ და ქისით იამებდნენ დაჟეჟილ სხეულს.

ერთ-ერთი ასეთი შეტაკების შემდეგ რუსულმა ხელისუფლებამ აკრძალა ეს სანახაობა, რასაც ხალხის დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. შემოინახა მეფის ნაცვალ ვორონცოვის შუამდგომლობა ამ აკრძალვის გაუქმების თხოვნით, სადაც იგი წერს - „ეს იყო გასართობი და სამხიარულო ყველასათვის, დაწყებული სამეფო გვარეულობით და თავადაზნაურობით, დამთავრებული უბრალო ხალხით... მუშტი-კრივის მთლიანად აკრძალვა არა მარტო ქალაქის შიგნით, არამედ მის გარეთაც დააღონებს აქაურ მოსახლეობას, რომელზეც შვილიდან შვილზე გადმოდიოდა ეს მათი საყვარელი გასართობი, ასე მჭიდრო კავშირში რომ არის ხალხის ხასიათთან, მათ გმირობასთან, რაც ესოდენ დამახასიათებელია ქართველთათვის და აქცევს მათ ბრძოლისუნარიანად თავიანთი საზღვრების დასაცავად“.

ამ ბარათის შემდეგ მთავრობამ ისევ დაუშვა მუშტი-კრივი, ოღონდ ქალაქგარეთ, კვირაცხოვლის ეკლესიასთან.

ძველ თბილისში განთქმული ფალავნები ყოფილან: ლოხოშა, ჭიანუა, კუნძუა, ყოჩნიკუა, გიჟვანუა, კურკა და სხვანი. მათი ოსტატობის მაგალითად კმარა ჩვენი საუკუნის დასაწყისში 6 ყარაჩოღელის მიერ 25 შოტლანდიელი სამხედროს გალახვა უტიფრობისთვის -

„უცხოელების თავხედურ ქცევას ქალაქელები აღუშფოთებია. სატიოს უბანში ყოჩ ნიკუას უთქვამს: სიყრმის მზემ, კუკიაზე ადგილი აღარ დარჩებაო.

შექეიფიანებულ უცხოელ ოფიცრებს უცხო ქვეყანაში დამცინავი გასართობი მოეძებნათ, გამოლაგდებოდნენ სასტუმროს წინ გოლოვინის პროსპექტზე და მოსეირნეებს ანოკაუტებდნენ უმიზეზოდ. ხუკები და აპერკოტები დაბლა სცემდა დარეტიანებულ მოქალაქეებს. სწორედ ერთ მშვენიერ დილას აქ შეყრილან სატიოს უბნის გიჟები. უცხოელ ოფიცრებს, გართობის ნაცვლად, გასაქცევად დასდგომიათ საქმე. როცა საშა ვერელს ქართულ გარმონზე `სატიო~ შეუბერია, წამალაანთ გიჟუას პრინციპულად ჯიბიდან ხელები არ ამოუღია, მისი თაური დარტყმის ხმები ვიტრინის შუშებს ხეთქავდა თურმე. გოროდოვოის გიჟო რომ უცვნია, მხოლოდ იმასღა ეხვეწებოდა თურმე, არ მოკლაო, მუშტი დაარტყიო. გიჟოსთვის სხვებსაც მიუბაძავთ და ყოჩებს თავებით ისეთი ბათქაბუთქი აუტეხიათ, რომ მუშტი-კრივი სანახაობად გადაუქცევიათ.“ - (ნაწყვეტი მ. ბერძენიშვილის მონათხრობიდან „ვერა – სატიო“).

ქალაქური კრივის არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის სახელი შემორჩენია ლამაზ ლეგენდად თბილისელების მეხსიერებას. მათ შესახებ შესანიშნავად მოგვითხრო გიზო ნიშნიანიძემ:

- ვერას თავისი გულივერები ჰყავდა. ბიჭად-ბიჭები, საღები და სალამათები, ჩვენი ქალაქის, ჩვენი უბნის გოლიათები.

ღმერთო მიხსენი, გამახსენე მათი სახელი,

შენ მტერს და ჩემ მტერს მოხვდა ძმაო, იმათი ხელი.

ადრე თუ გვიან, მეტ-ნაკლებად, ყველა ვახსენოთ. ახლა კი ცოტა, ცოტა უფრო შორს გავიხედოთ.

ვის ახსოვს თბილისური ალალი მუშტი! ხრიდოლი - ცალი ხელით, სალდასტი - ქვითა და ხელით, გატეხილი თავი და მაინც მთელი გული. სიყვარულის ახსნა ჩხუბით, ძმობა, ღმერთი-რჯული!

ვანის ნაქალაქარის გათხრის დროს, ჩვენი მამა-პაპის საძვალეებსა და სარკოფაკებში ქართული კრივის ხელთათმანი უნახავთ!

...თბილისელობის ასეთ ყაიდასაც თავისი ისტორია აქვს. ჯერ არავის ახსოვს თენგიზ კეკელიძის უსამართლოდ და უმისამართოდ მოქნეული ხელი. რამდენჯერაც მოიქნია, იმდენჯერ თქვენ მტერს მოხვდა. ატლანტის ტალანტით იტვირთა ტვირთი, მისი ბიჭური ბეჭებით ზიდა თბილისის ნამუსის თაღი, ამიტომ დადის დღეს ასე მხრებგაშლილი და ლაღი, კეთილი და პატიოსანი.

დოდო აბაშიძე. გადიოდა დრო. მოდიოდა სახელი. სიკეთითა და ჯან-ღონით სავსე ჭაბუკს ხელი ვაჟკაცურად ჩამოართვეს ქალაქის დიდმა ბიჭებმა, რომლებიც თბილისში ღონისა და სამართლიანობის კულტს ემსახურებოდნენ. განუზომელი იყო ავტორიტეტი 30-იანი, ანუ ჩვენ რომ ვიბადებოდით, იმ წლების ისეთი ფალავნებისა, როგორიც იყვნენ არკადი აბაშმაძე, ჯიბო კაპანაძე, ვახტანგ ბარსეგაშვილი... ამ სამმა წერტილმა გაიხსენოს დანარჩენი!

ისინი ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ძალაში შემავალ ყმაწვილებს, რომ ძლიერებს სუსტები არ დაეჩაგრათ, ქუჩის ჩხუბს ბოროტება არ ჩაედინა, სამართალს პური ეჭამა და წყალიც დაეყოლებინა. თბილისურ ქუჩას თავისი დაუწერელი, ენით აუწერელი კანონი ჰქონდა, აქაურ ჩხუბშიც კი უფრო მეტი წესრიგი იყო, ვიდრე ჩხუბს მოეთხოვება. აქაურ მუშტი-კრივს არავითარი საერთო არ ჰქონდა ხულიგნობასთან.

არეული კრივი

ზემოთ ჩამოთვლილ სახეობათაგან ამ დროისთვის შედარებით უკეთ არის დამუშავებული კრივის სახეობა „არეული კრივი“.

კრივის შესხებ მოპოვებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროები და არქეოლოგიური მასალები გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ, რომ მისი უძველესი სახეობა არქეოლოგიურ და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით იყო ტყავის თათმანებიანი კრივი, შეგვიძლია მას ვანის არქეოლოგიური მასალის საფუძველზე პირობითად „კოლხური კრივი“ ვუწოდოთ, სხვადასხვა სახეობები საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული იყო აღმოსავლეთში - ძირითადად მესხეთში, თუშეთში, თბილისში, თელავსა და გორში, დასავლეთში კი

ქუთაისსა და იმერეთის სამხრეთ ნაწილში, კერძოდ ვანი და მის მიდამოებში.

კრივი იმართებოდა როგორც წყვილებს, ისე ჯგუფებს შორის სხვადასხვა დღესასწაულებზე („ბერიკაობა“, „ყეენობა“ და სხვ.).

„არეული კრივი“ ორთაბრძოლის რთული სახეობაა. იგი უხვად არის დაყურსული ხელჩართული ბრძოლის ხერხებით. ორთაბრძოლა წარმოებს როგორც ზედა, ისე ქვედა კიდურებითა და თავით, დამატებით კი იხმარება ჭიდაობის მტკივნეული ილეთები: ტეხვებით გდება, მიყინწვა, გაკავება და მისთანანი. შერკინება მიმდინარეობს დანებებამდე ან გალახვამდე. პაექრობა იმართებოდა წინასწარი გარიგებით. ხშირად ფულსაც კი კრებდნენ (დასახიჩრების შემთხვევაში სამკურნალოდ).

ზემოთ ნახსენები არქეოლოგიური (ვანის ნაქალაქევში ნაპოვნია ძვ. წ. III სკ-ის მოკრივის ქანდაკების – მარჯვენა ხელი ტყავის უთითო ხელთათმანითა და მაჯაზე დახვეული თასმით) და ისტორიული მასალების საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება საფუძვლიანად ვივარაუდოთ, რომ მეტოქენი ორთაბრძოლისა, თუ გუნდური კრივის დროს იბრძოდნენ თათმანებით ან შიშველი ხელებით, იყენებდნენ მტევნის სხვადასხვა ჭერას: მჯიღი, მუშტი, გორიანი, ქიმუნჯი, ბლიკვი, საზალტე, სავარცხელა, ნეფი, ქიშტი, კიწანი, მაჯაგანი და სხვა. აგრეთვე იყენებდნენ იდაყვებს: დლაყვის კვრა, მუჯლუგანი, ჯლიქვი. განსაკუთრებით სახასიათო თაურებს, თეძურა კვრებს და მხრით ჯიკავს. ქვედა კიდურით შეტევისას: ბასმა, მუხლი, ხომი, ახმი, ჭვინტი, პიწკი, ერგცერი და სხვა.

ჭიდაობიდან შერჩეული იყო ძირითადად ისეთი ილეთები, რომლებიც იძლეოდა მოწინააღმდეგის სწრაფად მოშორების საშუალებას (მეტწილად პაექრობის ჯგუფური ხასიათის გამო). გდების დროს თითქმის ყოველთვის არის გამოყენებული ჯიკავი (ხელის კვრა), მხრის ან თავის „ტაკება“, ხელის ან ფეხის დარტყმა. ამგვარად, მოწინააღმდეგე ძირს დარეტიანებული ვარდება, რაც ილეთის შედეგს აძლიერებს. ფანდებიდან ყველაზე ხშირია კისრული,

ცერულები, ფეხდაბიჯებები, მოგვერდი, მოცელვები, ნამგალები, ამოსმული სარმები და სხვა ეფექტური გდებები.

იკრძალება საზარდულში დარტყმა, თვალების დაზიანება (ვთქვათ ბაჯის - საჩვენებელი და შუათითის ორკაპის კვრა), რასაკვირველია ეს არ ეხება ნამდვილ ომში მტერთან ბრძოლას, იქ ყველა შესაძლებლობა გამოიყენებოდა მის დასამარცხებლად.

კრივის ქართულ ნაირსახეობებში თითქმის არ გვხვდება ფეხით მკერდსზემოთ შეტევა, რაც შერკინების სამხედრო-გამოყენებითი ხასიათით უნდა აიხსნას (ბრძოლაში წონასწორობადაკარგულ მეომარს უკეთეს შემთხვევაში გათელვა ემუქრებოდა). ამ მხრივ გამონაკლისია ფეხით კრივის რაჭული და სვანური ნაირსახეობანი, რომლებშიც ხელის ხმარება აკრძალულია.

ფეხით შეტევებიდან ყველაზე გავრცელებულ სახეებს განეკუთვნებიან: წიხლი, პანღური, ჭიტლაყი, ტლინკი, ბასმურა, ხომურა, ქუსლური კაური და ჩაძნეყვა. თუმც კი ყველა ოსტატს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ილეთი და დარტყმის მოხაზულობა ჰქონდა.

სერგო კაზალიკაშვილი
(ყაზბეგი)

30-იან წლებში მოხევური „წიხლაობის“ ცნობილი ოსტატი ყოფილა სერგო კაზალიკაშვილი („თეთრმუცელა“), მისი მოწაფე ყოფილა შალვა გაგნიძე, ასევე უბადლო მოწიხლავე.

46-ში შემდგარა შერკინება „წიხლაობაში“ სიონელ მიშა წამალაიძესა და სნოელ ნოდარ ხართიშვილს შორის, რომელიც მე-9 წუთზე წამალაიძეს მოუგია.

მოძიებული 130-მდე ილეთი დამუშავებისა და გარჩევის პერიოდში გახსნის გაცილებით მეტ რაოდენობას ილეთებისას, რაც საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ქართული „არეული კრივი“, როგორც სახეობა, აღდგენილია.

მოძიებული 130-მდე ილეთი დამუშავებისა და გარჩევის პერიოდში გახსნის გაცილებით მეტ რაოდენობას ილეთებისას, რაც საშუალებას

გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ქართული „არეული კრივი“, როგორც სახეობა, აღდგენის სწორ გზაზეა.

ამ ილეთების ნაირგვარობა და რაოდენობა იმაზე მეტყველებს, რომ ქართული კრივი ოდესღაც დახვეწილი და შეკრული სახეობა იყო. სკოლა რომ ქართულია, მოწმობს როგორც უძველესი წყაროებით შემონახული მდიდარი ლექსიკური მასალა, რომელიც გამყარებულია XVII ს. ქართველი საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დაცული უნიკალური ინფორმაციით ქართული კრივის შესახებ, ასევე ჩვენს ქვეყანაში XX საუკუნის 40-იან წლებამდე არსებული კრივის სახეობების მრავალფეროვნებით, და იმ ილეთებით, რომლებმაც დღემდე მოაღწია ჩვენამდე როგორც ცოცხალი შემსრულებლების საშუალებით, ისე სხვადასხვა მკვლევარების მიერ მრავალწლიანი შრომის შედეგად მოპოვებული მასალებით.

აგრეთვე უამრავი ისტორიულ-დოკუმენტური მასალაა შემონახული, როგორც ქართველი, ისე უცხოელი საზოგადო მოღვაწეების, პოეტებისა და მწერლების, მოგზაურებისა და სამხედრო პირების მიერ, სადაც აღწერილია სხვადასხვა დღესასწაულებზე (ყეენობა, ყველიერი და ა.შ.), როგორ იმართებოდა სხვადასხვა სახის თამაშობები და ასპარეზობები, მათ შორის კრივსა და ჭიდაობაში.

ქართული კრივში, როგორც ჭიდაობაში შეჯიბრის წინ არსებული ქართული ფოლკლორის (ცეკვა, როკვა, კაფიობა, შაირი) ელემენტები კიდევ ერთი ნათელი მაგალითია, იმისა რომ ხალხში პოპულარულ და საყვარელ ამ სახეობას ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული ადგილობრივი წარმომავლობის საფუძველი გააჩნია.

ქართული კრივი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ყოფის ერთერთი შემადგენელი ნაწილი საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და იხვეწებოდა მათთან ერთად და რასაკვირველია მასზე გავლენას ახდენდა, როგორც ქვეყნის შიგნით შექმნილ გარემოებები, ისე მის ფარგლებს გარედან შემოსული სიახლეები. იმ გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რომელშიც ჩვენი ერი არსებობდა, სავაჭრო და სამხედრო გზების გზაჯვარედინზე, გამორიცხულია იყო

გადარჩენილიყო სამხედრო და საბრძოლო ხელოვნების გარშე, როგორც მსოფლიოს სხვა ხალხებში კრივი და მისი ელემენტები, დღესაც სამხედროების სწავლების სხვადასხვა სისტემების შემადგენელი ნაწილია. ჩვენც იმედს ვიტოვებთ, რომ ქართული კრივის, განსაკუთრებით „არეული კრივის“ ილეთები დროთა განმავლობაში შევა ქართული ჯარისა და სამხედრო სასწავლებლების მოსამზადებელ სისტემებში.

მოძიებული და მოკვლეული ილეთები დაიხვეწა 30 წლის განმავლობაში პრაქტიკული დამუშავების პროცესში, შეიქმნა სასწავლო-საწვრთნელი პროგრამა, მისი წარმართვისთვის სახელმძღვანელო მითითებები და მეთოდური რჩევები, ჩამოყალიბდა შეჯიბრებების მომზადებისა და ჩატარების წესები, რამაც საშუალება მოგვცა 2020 წლიდან ყოველწლიურად ჩაგვეტარებინა ამ სახეობის პირველი მკვლევარისა და აღდგენის მოთავის კახაბერ ზარნაძის სახელობის პირველობა „არეულ კრივში“.

შეჯიბრების პირველივე ტურნირის პოპულარობამ და სხვა საბრძოლო სახეობების სპორტსმენთა ინტერესმა შექმნა იმის პირობები, რომ 2022 და 2023 წლებში გაიმართა ღია პირველობები „არეულ კრივში“, სადაც მონაწილეობა მიიღეს კიკბოქსინგის, მმა-ს (MMA), სამბოს და სხვა საბრძოლო სახეობების წარმომადგენლებმა.

ქვემოთ წარმოდგენილია არეული კრივის სიტყვის კონა, სადაც შესულია მთელი ლექსიკური მასალა მოწესრიგების გარეშე, რადგან უფრო ზუსტი დალაგებისთვის საჭიროა გარკვეული პრაქტიკა. ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლე ერთი შეხედვით ართულებს დასახელებათა გამოყენებას, მაგრამ სამაგიეროდ, კრივის თითოეულ სკოლას შესაძლებლობა ეძლევა დაადგინოს საკუთარი ხელწერის შესაბამისი ჩარჩო.

შემდეგ თავში კი, წარმოდგენილია „არეული კრივის“ აღდგენილი ილეთების თვალსაჩინოება, რომელიც წარმოდგენას შექმნის ამ ქართული საბძოლო ხელოვნების სახეობის უნიკალურობაზე.

***

ქართული კრივის სიტყვის კონა

კრივის სიტყვის კონაში შესულია მთელი ლექსიკური მასალა მოწესრიგების გარეშე, რადგან უფრო ზუსტი დალაგებისთვის საჭიროა გარკვეული პრაქტიკა. ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლე ერთი შეხედვით ართულებს დასახელებათა გამოყენებას, მაგრამ სამაგიეროდ, კრივის თითოეულ სკოლას შესაძლებლობა ეძლევა დაადგინოს საკუთარი ხელწერის შესაბამისი ჩარჩო.

ქართული ლექსიკა შესაძლებლობას იძლევა დაწვრილებით აღიწეროს ადამიანის სხეულის ნაწილები და ასევე როგორც შემტევის, ასევე თავდამცველის სხეულის შესაბამისი უბნები, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ილეთის ჩასაწერად.

ქვემოთ წარმოდგენილი მასალა დაყოფილია თემატურად. საყურადღებოა ისიც, რომ ზოგიერთი დასახელება იცვლება მდგომარეობის, სივრცული განლაგებისა და გეზის მიხედვით.

აბასტად – უწუმ, მოსხლეტით, არდისულა
აბრაგანი, აბრაგინი – ამოკვრა, აპერკოტივით
ათო – ქმედების ქვემო მიმართულება (მეგრ.)
ალა–მალა – აქეთ–იქით (მეგრ.)
ალაფალა – ყურთაგლეჯით ატაცება
ალიყური – სილა
ალმედად – მხარიღლივ
ალახმალახი – წაღმა–უკუღმა
ალქატად – მსუბუქად
ამგნივ – აქაით, ამ მხრიდან
ამლათი – უცაბედი
ამპა – კინაღამ
ამფაზი – მეწყვილე
ანაზდი – მყისი, იჩქითი, არდი, ნვინი
ანასტარ – ანაზდად, არგონით
ანდედ – ადმათ, ალალბედზე
ანკრად – გადაკვრით დარტყმა
ანტრად – მრავლად
არადიათ – იშვიათად, არიელად
არვად – აფორიაქებით
არინი – არინება, ასხლეტა დაკვრისა
აფარება – დარტყმის შეკავება
აფრაკი – იფრიტი, ჩახვეული, მაჯაში ბრუნით დაკვრა
ახმური – ტერფის ზურგით
ახრევს – აქნევს (ხრევა)
ბაგუნი – ბასკუნი, რბილზე ცემა
ბარიბარ – თანაბრად
ბარიშალი – ჩხუბი
ბასმურა – ტერფის შიდა მხრით
ბაქი – სიტყვით შეშინება
ბაღვა – გლეჯა, ხოკვა

ბაყუნი – ღონივრად რტყმევა, ბეთქვა
ბაჯი – სალოკ–შეშუალის ტაკება
ბეგვა – ცემის სახეა, ზაპუნი, ბერტყვა
ბეკება – კუნტრუში
ბილა – ვერმორტყმა, დაცილება დაცდენა
ბინიკი – ჩარტყმა, წარტყმა
ბიძგი – ხელის ან მხრის კვრა
ბლიკვი – მუშტი (ცერით თითებქვეშ)
ბრექა – გულმკერდის ბზეკა
ბრიალი – ჰაერში ტრიალი
ბრკოლა – ფეხის შეცდენა
ბრმა სილა – სილის სახეა
ბრჯუ – გვიან მოქმედი
ბუბნა – წაქცეულის ტორვა, ბეყვა
ბუზვანი – მუშტის ცემა
ბუქნა – ჩაცუცქვა–ახტომა
ბუჩვა – ღონივრად შემოკვრა
ბღვერა – ავად ყურება
გაბეჭვა – ბეჭებში დაკვრა
გაბუნდაგება – განადგურება
გაგლა – გათელვა
გათხოვნა – საპაექროდ გაწვევა
გაკვრა – განზე მორტყმა
გამა – დარტყმა
გამუშტვა – მუშტით ცემა
გამხან – გვერდიდან (სვან.)
განთხი – ფეხის ღონე (მეგრ.)
განქრევა – წვრილად დალეწვა
გარისაკ – გარეთ მიმართული
გასხირპვა – გაჭიმვა
გაჟღოლვა – გვემა, მძიმედ გალახვა
გარდით – შორიახლო
გასხლეტა – შებორკვისგან თავდაღწევა
გატოშვა – ბღაჯით ცემა
გაშპობა – მოსხლეტით გაცლა
გაცემება – ორმხრივი დარტყმები
გეზად – ცერად, ირიბად, ქეშად, ალმეშად
გერივ! – დარტყმის გამეორება
გერინა – დგომა (მეგრ.)
გვემა – მეტისმეტი ცემა
გლა – მოსრესა
გორიანი – მუშტის სახეა
გორინა – დისტანციის დაცვა (მეგრ.)
გულგარა – ზერელედ
დაბალთვა – დაფითვა, წვრილად დაკოდვა
დაგანება – დასარტყმელად მიტანება
დაზმა – დახანება
დათრგუნვა – ზერგნა, ფეხით ქელვა
დაკაული – ტეხილი დარტყმა
დაკოვზვით – სილა ჭაჭვით ყურზე
დარეგვა – ზემოდან ბლიკვით ცემა
დარტყმა – დაკვრა, თხლეშა, დრუზვა, თქეფა, დგვეფა
დასანგება – დაყოვნება
დასარსამება – დარეტიანება
დასევება – ძალის გამოლევა
დასპარტება – თავით დახეთქება
დაურვება – დამორჩილება
დაღალატება – დარტყმის ჩაქრობა

დაღირება, ზურტუხი – დასარტყამად შემართვა, (დაკვრა სჯობს დაღირებასა)
დაღლეტა – კანის დაზიანება
დაშთობა – მოხრჩობასავით
დაჩალება – დაგლახება (მეგრ.)
დაძეკვა – ზეპვა, დაზეპვა
დაწნეხა – ფეხით შედგომა
დგერი – დგომი, შაქი
დირსაფი – თავის კვრა (მეგრ.)
დლაყვი – იდაყვით წინ კვრა
დოგადოგა – მონდომებით
დოკინა – უკანდახევა (მეგრ.)
დორთა – მხრის აქცევა (მეგრ.)
დღუზვა – დარტყმის სახეა
ელანძე – მეყსეულად
ერგცერი – თითებგამართული ტერფი
ვეგურა – დარტყმა კოჭით, ფეხამობრუნებით
ვერაგი – ცრუ დარტყმა
ზემზემ – ზემოდან, ზეგარდმო
ზერე – ზემოთა
ზმული – აჩქარებული
ზორვა – ზურგზე ცემა
ზუზარა – ზუსტი
ზუზივ – ზუსტად
თავროკა – მაგართავიანი
თაურები – (იხ. ილუსტრაცია)
თაფთაფანა – ცხარე ჩხუბი
თეძური – თეძოს კვრა
თვალისიერი – აღქმის სისხარტე
თქრომა – მიფრენა
იაღმა – უკუღმა
იგურდივ – გვერდულად
ილარინა – გვერდით ამოდგომა (მეგრ.)
ილინცურად – ირიბად
იონქრად – ზერელედ, მსუბუქად
ირმიცი – დახრილი
ისკუპი – ადგილზე შეხტომა
იხელთა – ჩაავლო, იგდო
კამუკი – მსუბუქი ჩხუბი
კანტი – სხარტი
კაურა – მოხრილი მკლავით შემოკვრა
კებეხი – კელენჯერი, მიუდგომელი
კემუტი – შეუპოვარი
კერკეში, კესელო – მკვრივი
კეში – უხეში, გამაგრებული
კვარტი – წიხლის სახეა (მეგრ.)
კვიდომი – ჯიჯგვი, მკვიდრი
კვინტი – წიხლი
კირთება – შეტევა მოუსვენებელი
კირწიკორწა – კისერზე გადაბრუნება
კიწანით – მტევნის გარე კიდით
კოდო – მძიმე, ნელი
კონტი – საპირისპირო ხერხი
კორიკი – რწევა, ქანაობა
კოჭა – როკვა ბუქნასავით
კოჭუკუღმა – ?
კოხი – წიხლის სახეა
კუკუ – პანღურის სახეა
ლაჟორა ქვადყიე – დაკოვზვით შემოკვრა (სვან.)
ლაჩაკვა – ჩალაკვა, ლახვაჩა, კაკვია, ცაცია
ლახვა – ცემა
ლიგმად – ოდნავ

ლიმა – ბრძოლა, ომი (მეგრ.)
ლიღუ – ნაკრავი, მორტყმის კვალი
ლიყაარია – უიარაღოდ(!) კრივი (სვან.)
ლიჯლიქყია – ორი ხელის ნეფით კვრა (სვან.)
მადგინო – ურყევი
მანქანება – ხრიკთა ერთობლიობა
მაოტი – გამაქცევი
მალიად – სწრაფად, ხაფად
მეოტი – გაქცეული
მისკმა – მირტყმა
მოკოტვა – ჩხუბიდან გაქცევა
მომუშტავი – მოკრივე (თუშ.)
მონუსხვა – ნებისყოფის წართმევა
მორინა – მხარდაჭერა (მეგრ.)
მოსარგალება – მოსრაგნა, გაქელვა
მოქედურება – ქედის მოხრა
მოქლეშა – წაგლეჯა ხორცთა
მოჭენტა – მოგრეხვა, მოხამურება
მოხრესა – დაჭირებით მოგლა
მუქარანი – მეტოქენი
მუქაფა – მორგენა, საპასუხო დაკვრა
მუღრაობა – რისხვით ქადილი
მუშტა’ობა – თუშური კრივი
მუშტი – თუ ცერს გარდა სცე, მუშტუკუნი
მუჯლუგანი – იდაყვის უკუკვრა
მჯიღი – თუ ნეკის მხრიდან სცე, მჯიხი
ნები – ბღაჯის ქვედა ბალიში
ნჯიქვა – იდაყვის კვრა
ოინულ – ეშმაკურად
ორგნით – ორივე მხრიდან
ორპოტიკი – ორიანი შეტევა
ოჩოკური – უხეირო ქმედება, დაკვრა
ოხტი – სამაგიერო
პარაკად – უნებურად
პარეხი – მოძრავი, ენერგიული
პაღური – უკან მუხლის ამოკვრა
პიწკით – მოხრილი ფეხისთითებით
პუწკით – სამი თითის შეერთებით
ჟატვა – დაკრულვასავით, ჟუჟი
ჟეჟა – ხორცთ დაჯეჭკა
ჟვერვა – ჟვარუნი, ჟღოლვა,
ჟინ – ზევით (ლაზ.)
ჟრიატი – იდუმალი შიში
რაგვინი – დატაკება (მეგრ.)
რაჟაფი – მძიმე დარტყმა (მეგრ.)
რთხმა – გაჭიმვა
როფვა – ხმაურიანი დარტყმა
რტინა – ოტება (მეგრ.)
სავარცხელა – მტევნის ზურგით
საზალტით – მტევნის ზურგით
საფრთხოლი – დასაფრთხობელი, ყურადღების გადასატანი
საცდური – ცრუმოძრაობა
სილა, სილაქი – გაშლილი ხელით შემოკვრა
სისრა – გატყორცნა
სკმა – სკმევა, ცემა
ტალამაში – ქიმუნჯის დაკვრა
ტაროცი – მზადყოფნა
ტახუნი – ცივი ხმის დაკვრა
ტკეპნა – დატერფვა
ტკეცება – შეხეთქება
ტლინკი – ტყუპი წიხლი
ტოლიკი – მირტყმა–მორტყმა

ტონტორიკი – ცრუდარტყმა, ტუნტური
ტორცაფი – ძლიერი დარტყმა (მეგრ.)
ტოჩება – მუქარა
ტრელად – მიპარვით, უჩუმრა
ტრელი – ფარული დაკვრა
ტურინი – გაფრენა (მეგრ.)
უდიერი – ძალის დატანება
უკუდგომა – უკანდახევა
უკუყრა – მოგერიება
ურგაბი – მოუდრეკელი
უხრული – უხერხული
ფა – მაგი (ცალფა – ცალმაგი)
ფარიზი – დაფარული ადგილი
ფეთი – საფრთხოლთაგანია
ფეხდაბიჯება – შეტევის ელემენტია
ფოცი – სწრაფად მომუშავე
ფრენწიხლი – ნახტომში ჩაწიხლვა
ქალოქვად ბელიე – მზის წნულში კვრა (სვან.)
ქაფო – მკლავმრუდი
ქიმუნჯი – მუშტის სახეა
ქიშტი – გოგებით ქურჯვა
ქოთება – ხეთქება
ღაფლად – ვერაგულად
ღუზვა – ყვინთი, ყურვა
შარამათი – ჩხუბი
შაქი – საბრძოლო დგომი
შებმა – შერკინება
შეთე – ფეხმოუცვლელი
შიგისაკ – შიგნით მიმართული
შიშხათი – დაშინება
შუნდუკ – გორიანით კვრა (სვან.)
ჩანარი – მაჩხუბარი
ჩეჩქვა – ძეგვა, ნაყვა, ჯეჭკა
ჩოქელა – დაჩოქილ მდგომარეობაში
ჩუვ – ქვემოთკენ (სვან.)
ჩურგნა – თავის გლაჯუნი
ჩუჩხური – წაქეზება
ცაკვა – დაკვრის სახეა
ცემა – ბუბნა, ტყეპა, ბეგვა, ჟაპუნი, ბეჟვა, ტორვა, ჯეგვა
ცრეხა – მოღრეცა
ცუდაობა – უხეიროდ მოქმედება
ცხაკვა – სუსტი დარტყმა (მეგრ.)
ცხუნება – დაკვრის სახეა
წკეპა – მცირედ ცემა
წკიპი – ტერფის წინა ბალიში
წრიხი – წიხლი, კვინტი, კოხი
ჭაჭვი – პეშვის დაკოვზვით
ჭვინტით – თითგამართული
ფეხის კვრა
ჭიტლაყი – პანღურის სახეა
ხალახუნცული – ჯგუფური ჩხუბი
ხაცხაც – შეცდომით
ხდომა – თავდასხმა
ხელამუთა – ფრთხილი
ხელბუკი – ზანტი
ხელუკუღმა – სავარცხელათი
ხენკალი – დაღლილის მუშაობა
ხვატა – კბილის კრეჭა
ხლეწა – დარტყმის სახეა
ხომურა – ტერფის კიწანით
ხურთვა – ზემოდან ბლიკვნა
ჯაათი – წინააღმდეგობა
ჯალდვა – მორევნა
ჯგვერება – გორიანის ტაკება
ჯგვლემა – ბლიკვნა
ჯგლითი – შეხლა–შემოხლა

ჯეკნა – ქუსლით ჩაძნეყვა
ჯილეხი – ძნელმისადგომი
ჯიქურ – პირისპირ
ჯიხი – თავით პირდაპირი
ჯიჯა – მუშტით პირდაპირი
ჯლიქვი – იდაყვის განზე კვრა
ჯმაჯურა – მხუთავი ილეთი

მსაჯობა – დგინება

ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევებისა და შემდგომ მოპოვებული მასალების პრაქტიკული დამუშავებისა და ღრმა ანალიზის შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენში გავრცელებული ადამიანებს, ან ადამიანების ჯგუფებს შორის ფიზიკური და გონებრივი თამაშის, შეჯიბრის, ან სხვადასხვა იარაღებისა და საშუალებების გამოყენებით ასპარეზობის, ან სულაც დაპირისპირების მსგავსი ქმედებების ყველა სახეობა დღევანდელი გაგებით **სპორტის** ჩარჩოში ძნელად თავსდება და მკაფიოდ სამხედრო ყაიდისაა და ამდენად, მისი თითოეული ფორმის დღევანდელ სოციალურ გარემოში ადაპტირებისთვის მრავალმხრივი დამუშავება და პრაქტიკული გამოცდა ესაჭიროება.

შესაბამისად, ამ სახეობებში შეჯიბრება–დგინების ჩატარება განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და მსაჯთაგანაც საგანგებო ცოდნასა და ყურადღებას მოითხოვს.

მოვარჯიშისთვის დგინება ერთ–ერთი უმთავრესი სტიმულია და შესაბამისად მსაჯობის მაღალ კულტურას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ სახეობათა აღდგენა–განვითარებისთვის.

ალვანია – ჯარიმა სახის დაზიანებისთვის
ანდი – ვარაუდი, ეგებისობა
არჩიონი – სჯა, ბჭობა
ბარიბარ – თანაბრად
ბჭე – მსაჯი
გაბრა – გაქვითვა
გათხოვნა – საპაექროდ გაწვევა
გახალარება – გაზავება, გაშველება
გერში – გამამტყუნებელი ნიშანი
გრიჩ! – რჩოლად მისევა
დადარი – სამართლიანი
დგენა – მჯობნის გარკვევა
ვაშინერს – აკრძალულია (მეგრ.)
ზავი – შერიგება
თაბდია! – ჯერია! ნებართვა დაწყებისა
იარაღუჩი – ბჭობა, განმკითხველობა

მაზა – მოსაწონი
მენაკი – რანგი, საფეხური, ხარისხი
მითარჯვა – მიკერძოება, მიდგომა
მრჩობლი – წყვილი
მუნათი – საჯარიმო ქულა
ნაიბი – რაუნდივით, ერთი ჯერი
ნირი – წესი, რიგი, წარი
პაექრობა – ცილობა
რჩა – საჯარიმო ქულა
საბეჭე – ბეჭზე ჭრილობის გადასახადი
საგულე – გულზე ჭრილობის გადასახადი
სადუდო – სასისხლო გადასახადი
სათავი – სართი, დამატებითი ქულა
სამეენეო – გადასახადი წაქეზებისთვის
სამანი – საზღვარი, მიჯნა
სამეტო – დამატებითი ქულა
სანასკო – ნასკვის გამოხსნისა, მოსისხლეთა შერიგების წესი
საპირგამტეხლო – ჯარიმა პირობის დარღვევისთვის
სარისტა – თადარიგი, წესრიგი
სარჯი – ჯარიმა, სარჯელი
სასტი – ბრძანება
საჯაყი – სამარცხვინო
საჯილდაო – ასაზიდი ქვა
ტაროცი – მზადყოფნა
ტოგენი – მსაჯის ტახტი
უკუყრა – გაშორიშორება
უჯერო – შეუსაბამო
ფათ! – გათანაბრების ნიშანი
ფარსაგი – ვარგისი
ფეხონი – ფიხონი, საფიხვნო
ფორა – წაგება
ფორი – ფორე, მოედანი
ჩაქი – სიგელი, საბუთი
ხადა – წოდება
ჯილა – წილი
ჰაი–ჰა! – დასტურის შეძახილი
ჰარია! – ჩქარა
ჰელა – მოასპარეზეთა ბანაკი
ფორეს აქეთ–იქით
ჰოთური – გაურკვეველი

თვალსაჩინოება

მოძიებული, შესწავლილი, დამუშავებული და დასამუშავებელი მასალების ოდენობისა და ისტორიული ღირებულების მაგალითისთვის შემდეგ გვერდებზე წარმოდგენილია გრაფიკული მასალა, სადაც თვალნათლივ ჩანს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით არამარტო კვლევა-ძიების წარმართვა, არამედ ქართული ყოფიერების ამ შესანიშნავი ძეგლის ტრადიციის აღდგენა და ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ყოფაში დამკვიდრება.

თავი

1. ბაგე:
- პოპორი
- ლაში
2. ბაკანა
3. ბიბილო
4. გოზა, წარბი
5. თვალი
6. თხემი
7. კაკნატელა
8. კეფა
9. კეხი
10. კინწი
11. კოპი
12. კოკორახი
13. კუბუხი
14. ნიჟარა
15. ნიკაპი
16. პინჩი, ნესტო
17. სარქე
18. საულვაშე
19. საფეთქელი
20. სოთი
21. უპე
22. ქედი
23. ქური, ლოყა
24. ღაბაბი
25. ღინწი
26. ყბა
27. ყელი
28. ყვრიმალი
29. ყური
30. ყურისძირი
31. შუბლი
32. ჭაშა
33. ხვანჩი, ხორხი





ტომაგი

1. ანგალა
2. ბეჭისთავი
3. ბოქვენი
4. გობეგი, ჭიპი
5. გულბანდი
6. ზემხარი
7. ზურგი
8. იღლია
9. კიმკიმა, ლავიწი
10. კუდუსუნი
11. კუსუმპო
12. მენჯი
13. მუცელი
14. პურტი
15. საზარდული
16. სიბა
17. ჟდომი, საჯდომი
18.. ტომაგი
19. ფერდი
20. ფერცხალი, ნეკნი
21. ღვინჭიპა
22. შუასაძგიდი
23. წელი
24. ჭანჭალი
25. ჭიღვი
26. ხერხემი, ხერხემალი
27. ხეცრო
28. ხვაპი





ხელი

1. ბერა, ჯიგვი, ცერა
2. ბლაჯი
3. ბწკილი, ფრჩხილი,
4. გვერდა, არათითი
5. გოგი
6. გოჯი
7. დაყვი, იდაყვი, ვატაყი
8. კიწანი
9. კოჟიჟი
10. მაჯა
11. მკლავი, ტილვი
12. მქანე, სახსარი,
13. მტევანი
14. მხრიკიწი
15. ნები
16. ნეკი, თითნიკა
17. სავარცხელა
18. საზალტე
19. სალოკი
20. შეშუალი, შუათითი
21. წინამხარი
22. წყრთა
23. ხელი
24. ხელისგული









ფეხი

1. ახმი
2. აშავერი, ბარძაყი
3. ბასმა
4. ბჭალი
5. გაზა
6. გალო
7. გარჯლა
8. დუნდულა
9. ვეგი, კოჭი
10. თეძო
11. თეძოსთავი
12. ისქიო-იღუნიო
13. კანჩალა, წვივი
14. კანჭი, ოუგალა
15. კაჩა, კართი
16. კორი, კვირისტავი
17. ლაჯი
18. ნაკუთალი
19. პოჭოჭიკი
20. ტაბუხი, მუხლი
21. ტერფი
22. ტლოკი
23. ქუსლი
24. ჩერანი, წვივის გნდე
25. ცანდი
26. ჭვინტი, წკვერტი
27. ჭლიკი, წკიპი
28. ხომი







თავურები



დარტყმები
(გეზის მიხედვით)




მტევანი, მუშტი
(საცემი ალაგები)
ბლიკვი
ცერული
ქიმუნჯი
მუშტი
გორიანი
პუწკი
ქიშტი
ნეფი
საფალტე
სავარცხელა
მაჯაგანი
ჩლუნგი
ბაჯი
მჯიდი
ლვინჭია
სილაქი
ბრმა სილა
ჭაჭვი
კიწანი


ფეხით კვრები
ფაქერტა (ერგცერი)
პიფკით
ახმურა
ქუსლური
ბასმურა
ხომურა
ჭლიკით
კოხი
ჩაძნეყვა
ჯეკნა
ზერგნა
დატერფვა
თეძურა
პალური, კუკუ
ტაბუხით
ჭიტლაყი
ფიხლი
ტლინკი
ვეგურა

კრივის განწესრიგება
(ერთი შტოს მაგალითზე)



არეული კრივი
(სამი არასრული განტოტება)



შენიშვნა: სქემაში მისარგებია აბრეთვე „ჩათრევა“ და „ეფხოს მოხსნა“

არეული კრივის აღდგენილი ილეთები

(ფოტო მასალა)

თაურები - ცაკვა (ფ.ს. 1) და ჯიხი (ფ.ს.2)

მუშტის ჩამოკვრა - ქურჯვა (ფ.ს. 1) და მჯიღის ამოკვრა (ფ.ს.2)



ხელით კვრები N1

ჯიჯა - მუშტის კვრა - პირდაპირ სწორხაზოვნად თავის არეში

ჯიჯა - მუშტის კვრა - პირდაპირ სწორხაზოვნად ტანის არეში

ჩახვეული - მუშტის კვრა - პირდაპირ, დარტყმის დროს მუშტის მაჯაში ჩატრიალებით (ტრიალი საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით)

ილინცური - მუშტის კვრა - პირდაპირ, დარტყმის დროს წინა-მხრის და მკლავის ჩატრიალებით

ხელით კვრები N2

ამოკვრა - აბრაგანი - იდაყვში მოხრილი ხელით ნახევარკალისებრი მოძრაობით ქვევიდან-ზევით მუშტის კვრა თავის, ქვედა ყბის არეში

ამოკვრა - აბრაგანი - იდაყვში მოხრილი ხელით ნახევარკალისებრი მოძრაობით ქვევიდან-ზევით მუშტის კვრა ტანის არეში

დაკაული აბრაგანი - მუშტის კვრა - ქვემოდან-ზემოთ, დარტყმის დროს მუშტის ამოტრიალებით (ტრიალი საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით)

ხელით კვრები N3

1

2

ჩამოკვრა - იდაყვში მოხრილი ხელით ნახევარკალისებრი მოძრაობით ზევიდან-ქვევით მუშტის კვრა.

1.შეტევის დროს. და 2. უკუშეტევის დროს.

შემოკვრა (მარჯვნიდან) - იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელით ნახევარკალისებრი მოძრაობით მუშტის კვრა

შემოკვრა (მარცხნიდან) - იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელით ნახევარკალისებრი მოძრაობით მუშტის კვრა

ხელით კვრები N4

მჯიღის დაკვრა - იდაყვში მოხრილი ხელით ნახევარკალისებრი მოძრაობით ზევიდან-ქვევით მუშტის, მჯიღის კვრა

მჯიღის შემოკვრა - იდაყვში მოხრილი ხელით ნახევარკალისებრი მოძრაობით მარცხნიდან-მარჯვნივ მუშტის, მჯიღის კვრა

მჯიღის შემოკვრა - იდაყვში მოხრილი ხელით ნახევარკალისებრი მოძრაობით მარჯვნიდან-მარცხნივ მუშტის, მჯიღის კვრა

მჯიღის ამოკვრა - იდაყვში მოხრილი ხელით ნახევარკალისებრი მოძრაობით ქვევიდან-ზევით მუშტის, მჯიღის კვრა

ხელით კვრები N5

დაცვისა და უკუშეტევის ილეთები N1

აფარება და პირდაპირი კვრით უკუშეტევა

დაფარება და მუშტით პირდაპირი კვრა

დაფარება, ნეფის კვრა

დაცვისა და უკუშეტევის ილეთები N2

მკლავ-აფარებული კვრა

დაყვინთვით შემოკვრა

მხარზემოდან კვრა

მკლავჩაკეტილი კვრა

დაცვისა და უკუშეტევის ილეთები N3

მხარ-ჩავლებით თაური

მკლავ-დაფარებული შემოკვრა

ჩერან-დაფარებული განგამოკრული შუასარმა

საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაცია		traditionalsportgeo@gmail.com
ლევან კიკალიშვილი	599 600 206	didikikala@gmail.com
კობა ჭუმბურიძე	599 70 60 69	koba.chumburidze@gmail.com
ნოდარ ლურსმანაშვილი	593 163 912	n.lursmanashvili61@gmail.com

9 789941 860980

ქართული
საბრძოლო ხელოვნება

კრიობა

საქართველოს სპორტის ტრადიციული
სახეობებისა და თამაშების
ასოციაცია